მოსწავლეთა გზამკვლევი

- ბავშვთა უფლებების შესახებ
- მე და სკოლა
- მე და სახელმწიფო
- ადამიანის კონსტიტუციური უფლებები
- ჩემი შრომითი უფლებები
- ბავშვის ურთიერთობა სამართალდამცავ ორგანოებთან
- ძალადობა და მისი ფორმები

ბავშვთა უფლებების შესახებ

რა ასაკამდე ითვლება ადამიანი ბავშვად და რა უფლებები აქვს მას?

საქართველოს ბავშვის უფლებათა კოდექსის მიხედვით, **ბავშვად ითვლება 18 წლამდე პირი**. ყველა ბავშვს კანონით მინიჭებული აქვს და უნდა სარგებლობდნენ შემდეგი უფლებებით:

- სიცოცხლისა და პიროვნული განვითარების უფლება;
- თანასწორი მოპყრობის უფლება;
- აზრის გამოთქმის უფლება;
- მოსმენის უფლება, რაც გულისხმობს მასთან დაკავშირებული საკითხის გადაწყვეტისას მისი აზრის მოსმენისა და გათვალისწინების უფლებას;
- მოქალაქეობის უფლება;
- ოჯახში აღზრდისა და მშობლებთან კონტაქტის უფლება, რაც ნიშნავს ოჯახთან ერთად ცხოვრების უფლებას, ხოლო მშობლების განქორწინების შემთხვევაში, მათთან კონტაქტის უფლებას;
- განათლების უფლება;
- ჯანმრთელობის დაცვის უფლება;
- პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება (მაგალითად, არავის აქვს უფლება, ჩაერიოს ბავშვის პირად ცხოვრებაში, მაგალითად, ბავშვის თანხმობის გარეშე წაიკითხოს მისი პირადი დღიური, რომელშიც მოცემულია მისი აზრები, იდეები, ცხოვრებისეული მოვლენები და სხვა დეტალები;

- ნორმალური ზრდა-განვითარების უფლება, რაც გულისხმობს მის უზრუნველყოფას საკვებით, ჩასაცმელით და საცხოვრებლით;
- საკუთარი უფლებების დასაცავად სასამართლოსთვის მიმართვის უფლება;
- დამცირების, სასტიკი მოპყრობისა და დასჯისგან თავის დაცვის უფლება;
- საჯაროდ გამართულ შეხვედრებსა და აქციებში მონაწილეობის, აგრეთვე საკუთარი შეხედულების თავისუფლად გამოხატვის უფლება;
- დასვენებისა და თამაშის უფლება;
- უფლება, დაკავდეს სხვადასხვა აქტივობით, მაგალითად, სპორტით, ცეკვით, სიმღერით და სხვა;
- ინფორმაციის მიღების, ინტერნეტით სარგებლობის უფლება;
- რწმენის და რელიგიური შეხედულების ქონის უფლება;
- საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლება.



რას ნიშნავს, იყო არასრულწლოვანი?

18 წლის ასაკამდე პირი ითვლება არასრულწლოვანად. ამ დროს მას თავისი ზოგიერთი უფლების დამოუკიდებლად, მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის გარეშე გამოყენების შესაძლებლობა შეზღუდული აქვს. მაგალითად, მას შეუძლია დამოუკიდებლად დახარჯოს ფული, რომელიც მშობელმა მისცა, ან ხელფასი, რომელიც თავად გამოიმუშავა, მაგრამ მშობლების დახმარებისა და სასამართლოს თანხმობის გარეშე არ აქვს უფლება, გაყიდოს მემკვიდრეობით მიღებული სახლი.

რაც შეეხება პასუხისმგებლობას, დანაშაულის ჩადენისათვის (მაგალითად, ქურდობა, ჯანმრთელობის განზრახ დაზიანება და ა.შ.) ბავშვი პასუხს აგებს 14 წლის ასაკიდან, ხოლო ადმინისტრაციული გადაცდომისთვის (მაგალითად, აკრძალულ ადგილებში თამბაქოს მოწევა, საზოგადოებრივ ადგილებში ლანძღვა-გინება და სხვა) – 16 წლის ასაკიდან.

18 წლის ასაკის მიღწევიდან ადამიანი არის სრულწლოვანი და ამ დროიდან მას სრულად შეუძლია კანონით დადგენილი უფლებებით სარგებლობა.

რა როლი აქვს სახელმწიფოს ბავშვთან მიმართებაში?

სახელმწიფო ვალდებულია, მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა, რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყანაში ბავშვთა უფლებების დაცვას;

სახელმწიფომ უნდა იზრუნოს მოზარდის საზოგადოებაში ინტეგრირებაზე, ბავშვის განათლების მიღების ხელშეწყობასა და უსაფრთხო გარემოზე;

სახელმწიფოს მიერ მიღებული ნებისმიერი კანონი და სხვა ღონისძიება, რომლებიც ემსახურება ბავშვის უფლებების დაცვის გაძლიერებას, ნაკარნახევი უნდა იყოს ბავშვის საუკეთესო ინტერესების უპირატესი გათვალისწინებით, ბავშვის ჰარმონიული განვითარების ხელშეწყობით, ბავშვის აზრის მოსმენითა და მონაწილეობის აუცილებლობით, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე.

რას ნიშნავს კანონიერი წარმომადგენელი, მეურვე, მზრუნველი?

ბავშვის კანონიერ წარმომადგენლად ითვლებიან მშობლები, როგორც ბიოლოგიური, ასევე მშვილებლები.

ბავშვის კანონიერი წარმომადგენელი შეიძლება იყოს ასევე მეურვე ან მზრუნველი, თუ არასრულწლოვანს არ ჰყავს მშობლები, ან მათ შეზღუდული/ჩამორთმეული აქვთ მშობლის უფლებები.

კანონიერი წარმომადგენელი არასრულწლოვანის ნაცვლად ასრულებს სამოქალაქო უფლებამოსილებებს, მაგალითად, ბავშვის

საბანკო ბარათის (ე.წ. „სქულ-ქარდი“) აღების უფლება აქვს მხოლოდ არასრულწლოვანის კანონიერ წარმომადგენელს.

მშობლის უფლებების შეჩერების თუ შეწყვეტის შემთხვევაში (მაგალითად, მშობლების გარდაცვალების დროს), ბავშვის წარმომადგენლობის უფლებამოსილებას თავის თავზე იღებს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო. შესაბამისად, პირადი და ქონებრივი უფლებების დასაცავად ბავშვს უწესდება მეურვეობა ან მზრუნველობა. მეურვე ენიშნებათ მცირეწლოვნებს – 7 წლამდე ასაკის ბავშვებს, ხოლო მზრუნველი – არასრულწლოვანებს, 7-18 წლის ასაკის ბავშვებს.

ბავშვთა უფლებები მშობლებთან ურთიერთობის დროს

ყველა ბავშვს აქვს უფლება, იზრდებოდეს ჯანსაღ და ჰარმონიულ ოჯახურ გარემოში. ამისთვის პასუხისმგებლები კი მშობლები და სახელმწიფო არიან. მშობელი ვალდებულია, იზრუნოს შვილის განვითარებაზე, მისი ნორმალური ზრდა-განვითარებისთვის და დაიცვას შვილის კანონით გათვალისწინებული უფლებები, მისცეს მას ამ უფლებათა გამოყენების საშუალება.

მშობლების მიერ ბავშვის უფლების ბოროტად გამოყენების შემთხვევაში, არასრულწლოვანს უფლება აქვს, დამოუკიდებლად მიმართოს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებს, ხოლო 14 წლის ასაკიდან – სასამართლოს, თუ თვლის, რომ მისი უფლებები დაირღვა. ბავშვებს უფლება აქვთ, ისარგებლონ უფასო იურიდიული კონსულტაციით და საადვოკატო მომსახურებით, რის ხარჯებსაც დაფარავს სახელმწიფო.

რა დროს სჭირდება ბავშვს მშობლის თანხმობა?

არასრულწლოვანი მშობლის თანხმობას საჭიროებს შემდეგ შემთხვევებში:

- ძვირადღირებული ნივთების შეძენის (საოჯახო ტექნიკა, სახლი, მიწა, მანქანა და სხვა) და/ან გაყიდვის (გარდა სახლის და მიწის, ასევე – 1000 ლარზე მეტი ღირებულების სხვა ნივთისა, რომლის გასაყიდად საჭიროა სასამართლოს თანხმობა) დროს;
- ქირავნობის, იჯარის, სესხის, მომსახურების, შრომითი (16 წლიდან პირს აქვს უფლება, იმუშაოს მშობლის თანხმობის გარეშე) ხელშეკრულების დადების დროს;
- პირადი, არაქონებრივი უფლებების შეცვლისას, როგორიცაა სახელის/გვარის, სქესის და რეგისტრირებული საცხოვრებელი მისამართის შეცვლა;
- სამედიცინო (ქირურგიული) ოპერაციების ჩატარების დროს;
- სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთისას (საზღვარგარეთ გამგზავრებისას).

არასრულწლოვანი არ საჭიროებს მშობლის თანხმობას, როდესაც:

- ბავშვი ჯიბის ფულს საკუთარი სურვილისამებრ და/ან მშობლის მითითების შესაბამისად ხარჯავს (ჯიბის ფულად ითვლება 100 ლარამდე ოდენობის თანხა)
- თუკი არასრულწლოვანი გარიგების დადებით იღებს სარგებელს. მაგალითად, მიიღებს საჩუქარს ან/და ფულად ანაზღაურებას.

რა იცვლება, თუ ხარ გერი და გყავს მამინაცვალი ან დედინაცვალი?

მამინაცვალსა და დედინაცვალს გერის მიმართ იგივე უფლება-მოვალეობები აკისრიათ, რაც მშობლებს. მათ ჩვეულებრივ აქვთ არასრულწლოვანზე ზრუნვის ვალდებულება, ასევე ვალდებულება, აღზარდონ იგი ჯანსაღ გარემოში მისი განვითარებისათვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით.

რას ნიშნავს შვილად აყვანა?

შვილად აყვანა გულისხმობს მხოლოდ არასრულწლოვანი, გასაშვილებელი სტატუსის მქონე ბავშვის შვილებას, მისი კეთილდღეობისა და საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, თუ მშვილებელსა და ნაშვილებს შორის ისეთივე ურთიერთობა წარმოიშობა, როგორიც მშობელსა და შვილებს შორისაა. გასაშვილებელი სტატუსი ენიჭება ობოლ ბავშვს, რომლის მშობელი არიან გარდაცვლილი, ან ისინი სასამართლომ უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარა; ასევე, ნაპოვნ ახალშობილს, რომელიც სასამართლომ მიტოვებულად აღიარა; ბავშვს, რომლის მშობლები, მართალია, ცოცხალნი არიან, მაგრამ მათ სასამართლომ ჩამოართვა მშობლის უფლებები ან თუკი თავად ცოცხალი მშობლები აცხადებენ წერილობით თანხმობას ბავშვის გაშვილებაზე.

10 წლის ასაკს მიღწეული ბავშვის გაშვილება/შვილად აყვანა, მისი თანხმობის გარეშე, დაუშვებელია.

შვილად აყვანის საკითხს წყვეტს სასამართლო, არასრულწლოვანის ნება-სურვილის, მისი აზრის მოსმენისა და საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით.

მამობის აღიარება

მამობის აღიარების საკითხი დგება მაშინ, როდესაც ერთმანეთთან დაუქორწინებელ წყვილს შვილი შეეძინება და მამობა ნებაყოფლობით არ არის დადგენილი.

მამობის დადგენა არის პირის ბავშვის მამად აღიარების იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტი, რომლის რეგისტრაციას სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანო ახორციელებს უფლებამოსილი პირის განცხადების ან სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

დავის შემთხვევაში, თუკი მამა არ აღიარებს შვილს, მამობის აღიარების საკითხს განიხილავს სასამართლო, დედის ან მამის მიერ განცხადების წარდგენის საფუძველზე, ბიოლოგიური ექსპერტიზის შედეგების გათვალისწინებით, რომელსაც სასამართლო ნიშნავს;

ურთიერთშეთანხმების შემთხვევაში, მამობის დადგენა შესაძლებელია საქართველოს იუსტიციის სამინისტროში ბიოლოგიური მშობლების მიერ ერთობლივი განცხადების შეტანის გზით.

მშობლების გარდა, ბავშვის მამობის დადგენის მოთხოვნით მიმართვის უფლება აქვს ბავშვის მეურვეს, ან იმ პირს, რომლის კმაყოფაზეც იმყოფება ბავშვი.

მამობის დადგენა შესაძლებელია ასევე ბავშვის სრულწლოვანების ასაკის მიღწევის შემდგომ.

შესაძლებელია თუ არა მეორე მშობლის გვარის მიღება?

ბავშვის გვარს განსაზღვრავენ მისი მშობლები ბავშვის დაბადების დროს. ბავშვს შესაძლებელია ჰქონდეს, როგორც მამის, ასევე დედის, ან ორივე მშობლის შეერთებული გვარი.

მშობლების განქორწინება არ იწვევს ბავშვის გვარის შეცვლას, თუმცა მშობელს, რომელთანაც არასრულწლოვანი შვილი საცხოვრებლად დარჩა განქორწინების შემდეგ, უფლება აქვს, შვილის ინტერესების შესაბამისად, მიმართოს სასამართლოს შვილისთვის თავისი გვარის მიკუთვნების შესახებ. 10 წლის ასაკს მიღწეული ბავშვის გვარის შეცვლისთვის აუცილებელია მისი თანხმობა, 10 წლამდე ბავშვის შემთხვევაში კი სასამართლო მოისმენს და ითვალისწინებს მის აზრს.

სრულწლოვან ადამიანს უფლება აქვს შეიცვალოს გვარი კანონით დადგენილი წესით.

შეუძლია თუ არა ბავშვს იყოს მემკვიდრე?

ყველა ადამიანს, მათ შორის ბავშვს, უფლება აქვს იყოს მემკვიდრე და მიიღოს გარდაცვლილი მშობლის (ბიოლოგიური/არაბიოლოგიური) ქონება (ფული, სახლი, მიწა, მანქანა, საოჯახო ნივთები და სხვა). მემკვიდრეობის უფლება აქვს მუცლად მყოფ ჩანასახსაც, რომელიც მშობლის გარდაცვალებამდე ჩაისახა დედის მუცელში, თუმცა ის ქონებას მიიღებს მხოლოდ დაბადების შემდეგ.

ბავშვი შესაძლოა იყოს თავისი ბებიისა და პაპის მემკვიდრეც, თუკი ბებიისა და პაპის გარდაცვალების მომენტში მათი ის მშობელი, რომელიც ბებიის/პაპის მემკვიდრე უნდა ყოფილიყო, გარდაცვლილია.

ბავშვი ნებისმიერ შემთხვევაში იქნება მემკვიდრე და მიიღებს ქონებას, თუკი იგი მოხსენიებულია ანდერძში.

ორივე მშობლის გარდაცვალების შემთხვევაში, ბავშვი იღებს ორივე მშობლის ქონებას, ხოლო ქონების მიღების პროცედურებს აწესრიგებს ბავშვის მეურვე/მზრუნველი.

მე და სკოლა

სკოლის დანიშნულება

ყველა ადამიანს უფლება აქვს მიიღოს ხარისხიანი განათლება. სკოლა არის საგანმანათლებლო დაწესებულება, სადაც მოსწავლე იღებს დაწყებით და საშუალო განათლებას.

სკოლა ვალდებულია, მოსწავლეს შეუქმნას თავისუფალი გარემო, სადაც ის შეძლებს საკუთარი უნარების გამოვლენას და თავისუფალ განვითარებას. სკოლის დანიშნულება ბავშვი დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მომზადებაა.

ურთიერთობა მასწავლებლებთან, სკოლის ადმინისტრაციასთან და მანდატურებთან

მოსწავლესა და მასწავლებელს შორის ურთიერთობა ჰარმონიული და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული უნდა იყოს. სწორედ ეს ურთიერთობა აყალიბებს მოსწავლის სასკოლო ცხოვრების ხარისხს.

თაობათა შორის ურთიერთობა მარტივი არ არის, თუმცა მასწავლებელი, გარდა პედაგოგიური ურთიერთობისა, მოსწავლის აღმზრდელად და უფროს მეგობრად მოიაზრება. ამასთან, მასწავლებელი არის შუალედური რგოლი მოსწავლესა და სკოლის ადმინისტრაციას შორის. ხშირად ურთიერთობაში არსებული პრობლემები წყდება უშუალოდ მასწავლებელთან, თუმცა ძირითად საკითხებს, როგორიცაა სკოლის უსაფრთხო გარემო, განათლების სისტემურობა, წესრიგი, სკოლის შინაგანაწესი, სკოლის ადმინისტრაცია განსაზღვრავს.

სკოლაში უსაფრთხო გარემოს შენარჩუნებაში სკოლის ადმინისტრაციას ხელს მანდატურის სამსახური უწყობს. მანდატური უფლებამოსილია სასწავლო პროცესსა და უშუალოდ მოსწავლეთა ქცევაზე დაკვირვება და მონიტორინგი აწარმოოს.

მნიშვნელოვანია, რომ ურთიერთობა მასწავლებლებთან, სკოლის ადმიანისტრაციასა და მანდატურთან ურთიერთპატივისცემისა და ნდობის საფუძველზე მიმდინარეობდეს.

პერსონალური მონაცემების დაცვა სკოლებში

მოსწავლის პერსონალურ მონაცემებს განეკუთვნება მასთან დაკავშირებული ნებისმიერ ინფორმაცია, მაგალითად, მოსწავლის სახელი, გვარი, ფოტოსურათი, პირადი ნომერი, საცხოვრებელი ადგილი, სასწავლო საგნებში მიღებული ნიშნები, მოსწავლის მიერ კუთვნილ რვეულში/ფურცელზე გაკეთებული ჩანაწერები, პირადი ურთიერთობები, მოსწავლის მიმართ გამოცხადებული შენიშვნები, საყვედურები, ჯანმრთელობის მდგომარეობა და სხვა.

სკოლა ვალდებულია, დაიცვას მის ხელთ არსებული პერსონალური მონაცემების უსაფრთხოება და უზრუნველყოს მათი შემთხვევითი თუ მიზანმიმართული განადგურება, შეცვლა ან გამჟღავნება.

მომავალი პროფესიის არჩევა

სკოლაში, განსაკუთრებით კი საშუალო განათლების დამამთავრებელ საფეხურზე, მნიშვნელოვანია, მოსწავლემ მიიღოს ინფორმაცია უმაღლესი და პროფესიული განათლების შესახებ. ის, როგორც საზოგადოების წევრი, უფლებამოსილია, თავად მიიღოს გადაწყვეტილება თავის მომავალ პროფესიასთან დაკავშირებით. ამასთან, მნიშვნელოვანია არჩეული პროფესიის შესახებ მოსწავლისათვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობა.

რა არის ბულინგი და რა უნდა ქნას მოსწავლემ ბულინგის შემთხვევაში?

ბულინგი ინგლისური სიტყვაა და „ჩაგვრას“, „აბუჩად აგდებას“ ნიშნავს. ბულინგი ხშირად ბავშვთა ორგანიზებულ ჯგუფებს ახასიათებს. ბულინგი არასასურველი, აგრესიული სახის ქცევაა. ბულინგის გავრცელებული ფორმებია: მუქარა, დაცინვა, სიტყვიერი შეურაცხყოფა, აბუჩად აგდება და ა. შ.

სკოლაში ბულინგის შემთხვევაში მოსწავლემ უნდა მიმართოს მასწავლებელს, სკოლის ადმინისტრაციას, მანდატურის სამსახურს ან მშობელს.

მე და სახელმწიფო

რა არის სახელმწიფო?

სახელმწიფო არის კონკრეტულ ტერიტორიაზე არსებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციის ფორმა, რომელსაც ჰყავს ხელისუფლება და აქვს სუვერენიტეტი ანუ დამოუკიდებლობა.

სახელმწიფოს ფუნქცია საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფა და საზოგადოების, მისი ყოველი წევრის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვაა.

რა არის კონსტიტუცია?

კონსტიტუცია სახელმწიფოს ძირითადი კანონია, რომელშიც გაერთიანებულია ამ სახელმწიფოს ძირითადი ღირებულებები და პრინციპები, ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, პოლიტიკური, სოციალური და საზოგადოების მოწყობის საფუძვლები.

ეს დოკუმენტი არის სახელმწიფოს მოქალაქეების მიერ არჩეული ღირებულებებისა და წესების ერთობლიობა. სახელმწიფოში მცხოვრები ყველა ადამიანი ვალდებულია, პატივს სცემდეს და იცავდეს კონსტიტუციას.

საქართველოს კონსტიტუცია არის საქართველოს უზენაესი კანონი, რომელიც საქართველოს პარლამენტმა 1995 წლის 24 აგვისტოს მიიღო. მასში მოცემულია ყველა ის ძირითადი უფლება, რომელიც შეგიძლია გამოიყენო, დაიცვა და მოითხოვო. მაგალითად, საქართველოს კონსტიტუციაში წერია, რომ დაწყებითი და საბაზო განათლება სავალდებულოა, ხოლო ზოგად განათლების დაფინანსებას უზრუნველყოფს სახელმწიფო. სწორედ ამიტომ არის, რომ საჯარო სკოლებში სწავლა მოსწავლეთათვის უფასოა.

რას ნიშნავს დემოკრატია?

დემოკრატია ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს ხალხის ძალაუფლებას („დემოს“ – ხალხი, „კრატოს“ – ძალაუფლება).

დემოკრატია სახელმწიფოს მმართველობის ერთ-ერთი ფორმაა, სადაც მთელი ძალაუფლება ხალხს ეკუთვნის. ხალხი თავის ძალაუფლებას ახორციელებს წარმომადგენლების (პარლამენტი, საკრებულო), ასევე რეფერენდუმის (როდესაც ხალხი ხმის მიცემით წყვეტს ქვეყნისთვის მნიშვნელოვან საკითხს) მეშვეობით.

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, საქართველო დემოკრატიული რესპუბლიკაა.

აქვს თუ არა არასრულწლოვანს პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის უფლება?

არასრულწლოვანს უფლება აქვს, თავისუფლად და საჯაროდ გამოხატოს თავისი პოლიტიკური აზრი, მონაწილეობა მიიღოს დემონსტრაციებში, თუმცა იგი არ შეიძლება იყოს პოლიტიკური პარტიის წევრი. პოლიტიკური პარტიის წევრობა ისევე, როგორც არჩევნებში მონაწილეობა, შესაძლებელია 18 წლის ასაკიდან.



რა არის პარტიული აქტივიზმი და სამოქალაქო აქტივიზმი?

დემოკრატიულ სახელმწიფოში მოქალაქეთა აქტიურობას და მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. სამოქალაქო აქტივიზმი არის, როდესაც მოქალაქეს არ სურს უშუალოდ პოლიტიკური გაერთიანების წევრობა, თუმცა აქვს სახელმწიფოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე დადებითად ზემოქმედების სურვილი (მაგალითად, აზრის გამოხატვა, საპროტესტო აქციებში მონაწილეობის მიღება და სხვა).

ხშირად სამოქალაქო აქტივიზმი სახელმწიფოს მხრიდან არასამართლიან გადაწყვეტილებებზე მოქალაქეთა ბუნებრივი რეაქციაა, ანუ როდესაც ადამიანთა გარკვეულ ჯგუფს არ მოსწონს სახელმწიფოს მიერ განხორციელებული რაიმე ქმედება და ამაზე გამოხატავს პროტესტს.

პარტიული აქტივიზმი გულისხმობს რომელიმე კონკრეტული პოლიტიკური პარტიის წევრობას, ამ პოლიტიკური პარტიის ორგანიზებულ აქტივობებში მონაწილეობას, ამ პარტიის იდეოლოგიის გავრცელებას და სხვა.



რა მნიშვნელობა აქვს არჩევნებს?

დემოკრატიულ სახელმწიფოში ხალხი თავის ძალაუფლებას ძირითადად წარმომადგენლების მეშვეობით ახორციელებს, რომლებიც გარკვეული ვადით აირჩევიან. არჩევნების მეშვეობით მოქალაქეები ირჩევენ კონკრეტულ პირებსა თუ პოლიტიკურ პარტიებს, რომელთაც ენდობიან. თუ არჩეული პირი ან პარტია მოქალაქეების ნდობას ვერ გაამართლებს, მომდევნო არჩევნებზე შესაძლებელია მათი სხვა პოლიტიკური ძალით ჩანაცვლება. არჩევნები ხელისუფლების გაკონტროლების ეფექტიანი საშუალებაა.

რა ძირითადი პრინციპები აქვს არჩევნებს?

დემოკრატიულ სახელმწიფოში არჩევნები უნდა იყოს:

- **საყოველთაო**, რაც იმაში გამოიხატება, რომ მასში მონაწილეობა შეუძლია საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს ყველა მოქალაქეს;
- **პირდაპირი** ანუ სხვის ნაცვლად დაუშვებელია ხმის მიცემა;
- **თავისუფალი** ყოველგვარი იძულებისა და ზემოქმედებისგან;
- **თანასწორი** ანუ ყველა ადამიანის ხმას აქვს თანაბარი ძალა და მნიშვნელობა;
- **პერიოდული** ანუ არჩევა უნდა მოხდეს წინასწარ კანონით განსაზღვრული ვადით, რომლის გასვლის შემდეგ კვლავ ახალი არჩევნები დაინიშნება.

ამასთან ერთად, არჩევნებზე **ხმის მიცემა უნდა ხდებოდეს ფარულად**, ანუ ვერავინ უნდა ხედავდეს, ამომრჩეველი (ანუ მოქალაქე) ვის აძლევს ხმას.

რა სახის არჩევნები ტარდება საქართველოში?

საქართველოში ტარდება საპარლამენტო და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ასევე აირჩევა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო.

რაც შეეხება საქართველოს პრეზიდენტს, 2024 წლიდან მას არა ხალხი, არამედ 300 ადამიანისგან სპეციალურად შექმნილი კოლეგია აირჩევს.

როგორ მოვემზადო ჩემი პირველი არჩევნებისთვის?

საქართველოს ყოველ მოქალაქეს 18 წლის ასაკიდან აქვს არჩევნებში მონაწილეობის უფლება. შესაბამისად, სრულწლოვანების დადგომასთან ერთად იზრდება ადამიანის ინფორმირებულობისა და საზოგადოების წინაშე არსებული პასუხისმგებლობის მნიშვნელობა.

როგორც პირველ, ისე ნებისმიერ სხვა შემდგომი არჩევანის დაფიქსირებისას მნიშვნელოვანია, ვფლობდეთ ინფორმაციას ასარჩევი სუბიექტის (მაგალითად, პოლიტიკური პარტიის) შესახებ, მის ხედვასა და საქმიანობაზე. ამასთან ერთად, ჩამოყალიბებული უნდა გვქონდეს საკუთარი ხედვა და განსაზღვრული გვქონდეს ჩვენი პრიორიტეტები. ყოველივე ეს გაგვიადვილებს სწორი არჩევანის გაკეთებასა და გარკვეული კანდიდატისადმი ნდობის ჩამოყალიბებას. ამავდროულად, მაქსიმალურად უნდა შევეცადოთ და ავიღოთ სრული პასუხისმგებლობა ჩვენს მიერ გაკეთებული არჩევანის სისწორეზე, რადგან არასწორი არჩევანის გაკეთების შემთხვევაში, ჩვენ მიერ არჩეული ხელისუფლება მომდევნო რამდენიმე წლის განმავლობაში განსაზღვრავს ჩვენი ქვეყნის მომავალს, ხოლო მისი შეცვლა მომავალ არჩევნებამდე ვერ მოხდება. ამიტომ **უნდა გვახსოვდეს, რომ მნიშვნელოვანია ინფორმირებული და გააზრებული არჩევანის გაკეთება.**

ადამიანის კონსტიტუციური უფლებები

ადამიანი – მთავარი ღირებულება

დემოკრატიულ საზოგადოებაში მთავარი ღირებულება ადამიანია.

საქართველოს კონსტიტუცია მთავარ ღირებულებად ადამიანს და მის უფლებებს მიიჩნევს, რასაც წარუვალი და უზენაესი ადამიანური ღირებულებების მნიშვნელობას ანიჭებს. ადამიანის სიცოცხლე, ფიზიკური ხელშეუხებლობა და ღირსება კონსტიტუციით განსაკუთრებით დაცულია.

თანასწორობა

ყველა ადამიანი კანონის წინაშე თანასწორია. კანონის წინაშე თანასწორობა ნიშნავს, რომ არ აქვს მნიშვნელობა, როგორი დაიბადები, სად დაიბადები, რა ფერის კანი გაქვს, რომელ რელიგიას ირწმუნებ (ან არ ირწმუნებ), ვინ არიან შენი მშობლები, მდიდარი ხარ თუ ღარიბი და ა.შ. ყველაფრის მიუხედავად, ყველა ადამიანი თანასწორია, ანუ კანონი ყველა ადამიანის უფლებებს იცავს, მათი განსხვავებულობის მიუხედავად.

თანასწორობა თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოს აუცილებელი ელემენტია, რაც თითოეული ადამიანისთვის თანაბარი შესაძლებლობების მიცემას გულისხმობს.

დემოკრატიულ წყობაში საზოგადოების ყველა წევრი, მათ შორის, უმცირესობა თანასწორია და დაცულია ყოველგვარი დისკრიმინაციისაგან.

რა არის დისკრიმინაცია?

მოქმედება, რომელიც მიმართულია ადამიანების უთანასწორო და უსამართლო მოპყრობისკენ რაიმე ნიშნის გამო, რომელსაც გამართლება არ აქვს, იწოდება დისკრიმინაციად.

ყველა ტიპის განსხვავებული მიდგომა ვერ ჩაითვლება დისკრიმინაციად. მაგალითად, უსინათლო პირებისათვის მართვის მოწმობის გაცემაზე უარის თქმა, ვერ ჩაითვლება დისკრიმინაციად.

თავისუფლება

ადამიანი თავისუფლებისთვის არის გაჩენილი. ამიტომ ყველა დემოკრატიული სახელმწიფო იცავს ადამიანის თავისუფლებას. საქართველოს კონსტიტუციაც იცავს ადამიანის თავისუფლებას და ხელშეუხებლობას. რა თქმა უნდა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ეს უფლებები აბსოლუტურია და ადამიანი ყოველთვის ხელშეუხებელია. მაგალითად, თუ ადამიანი დანაშაულს ჩაიდენს, ის შეიძლება დააკავონ და აღუკვეთონ თავისუფლება.

რას ნიშნავს რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლება?

რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლება აქვს ყველა ადამიანს. რწმენის თავისუფლება ნიშნავს, რომ ადამიანს ჰქონდეს საკუთარი აზრი სამყაროს შესახებ, ირწმუნოს ნებისმიერი რელიგია, რომელიც მას უნდა ან პირიქით – უარყოს ყველა რელიგია, ასევე არავის უთხრას ამის შესახებ. ამდენად, ყველა ადამიანს აქვს უფლება აირჩიოს ის რელიგია, რომელიც მას უნდა ან არ აირჩიოს არც ერთი.

აღმსარებლობა კი გულისხმობს რომელიმე რელიგიის მიმდევრობას. მასში იგულისხმება რელიგიურ რიტუალში მონაწილეობა, რელიგიური ტანისამოსის ტარება, ლოცვა, საეკლესიო შეკრებების ორგანიზება, მრწამსის ქადაგება და სხვა.

სახელმწიფო იცავს ყველა ადამიანის უფლებას, სწამდეს ან არ სწამდეს ღმერთი, შეიცვალოს აზრი, აირჩიოს და აღიაროს ნებისმიერი რელიგია და იცხოვროს საკუთარი რწმენის საფუძველზე.

როგორ მოვიქცე, თუ ჩემს წრეში განსხვავებული რელიგიის ადამიანები არიან?

საზოგადოებაში ხშირად შევხვდებით განსხვავებული რელიგიის, აზრის, ცხოვრების წესის, ინტერესების, ქცევისა და ჩვეულებების ადამიანებს, რაც თანამედროვე სამყაროსათვის ბუნებრივი მოვლენაა. ხშირად ადამიანთა რელიგიური შეხედულებები არ ემთხვევა ერთმანეთს, თუმცა ეს არ ნიშნავს, მათი რწმენა ცუდი ან არასწორია.

როდესაც განსხვავებული რელიგიის ადამიანებს შეხვდები, პატივი ეცი მათ აზრს, მოუსმინე, შენი აზრიც გაუზიარე, თუმცა არასდროს მოექცე ცუდად იმის გამო, რომ შეიძლება სხვა რელიგიის მიმდევარი იყოს ან საერთოდ არ სწამდეს არც ერთი რელიგია.

ადამიანები შემწყნარებლები უნდა იყვნენ იმ ფაქტის მიმართ, რომ შესაძლებელია საზოგადოების ზოგიერთი წევრი სხვა რელიგიური შეხედულების იყოს, ან საერთოდ არ აღიარებდეს რომელიმე რელიგიას. შესაძლებელია ასეთმა პირებმა უარყონ ან გააკრიტიკონ ესა თუ ის რელიგია და შეხედულებები, მათ შორის, ისეთი ფორმით, რომ მსგავსი კრიტიკა თუ აზრის გამოხატვა რელიგიური ადამიანისათვის შემაშფოთებლად ან შოკისმომგვრელად გამოიყურებოდეს. მსგავს შემთხვევაში მისაღებია ჯანსაღი დისკუსია, თუნდაც კამათი, აზრთა გაცვლა-გამოცვლა, თუმცა სხვისი აზრის გამოხატვის უფლება და პატივისცემა არც ერთ მხარეს არ უნდა დაავიწყდეს.

ჩემი შრომითი უფლებები

რა ასაკიდან შემიძლია მუშაობის დაწყება?

ჩვეულებრივ, არასრულწლოვანს დასაქმება 16 წლის ასაკიდან შეუძლია.

14 წლის არასრულწლოვანი შესაძლოა დასაქმდეს სპორტის, ხელოვნების, კულტურის სფეროში საქმიანობის განსახორციელებლად ანდა სარეკლამო სამუშაოს შესასრულებლად, თუმცა ამისათვის აუცილებელია მოზარდის კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა.

აკრძალულია არასრულწლოვანთან შრომითი ხელშეკრულების დადება მძიმე, მავნე ან საშიშპირობებიანი სამუშაოს შესასრულებლად.

რა არის შრომითი ხელშეკრულება?

სამუშაოს შესრულებისთვის აუცილებელია დასაქმებულმა მომავალ დამსაქმებელთან დადოს შრომითი ხელშეკრულება. შრომითი ხელშეკრულება არის შეთანხმება დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის შრომის ძირითად პირობებზე, მაგალითად, სად და რა პოზიციაზე უნდა იმუშაოს დასაქმებულმა, როგორი იქნება დასაქმებულის სამუშაო რეჟიმი, რამდენი იქნება დასაქმებულის ხელფასი და სხვა.

დამსაქმებელი არის პირი, რომლისთვისაც შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე სრულდება გარკვეული სამუშაო. დასაქმებული კი არის პირი, რომელიც შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე დამსაქმებლისთვის ასრულებს გარკვეულ სამუშაოს. მაგალითად, სურსათის მაღაზიაში მომუშავე კონსულტანტი არის დასაქმებული,

ხოლო მაღაზია, როგორც ორგანიზაცია, არის დამსაქმებელი, რომ-ლისთვისაც კონსულტანტი მუშაობს.

შრომითი ხელშეკრულება იდება წერილობითი ან ზეპირი ფორ-მით. თუ პირი ერთ თვეზე მეტი ხნით დასაქმდება, ასეთ შემთხვევა-ში აუცილებელია წერილობითი ხელშეკრულების დადება.

სად არ შეიძლება დასაქმდეს არასრულწლოვანი?

საქართველოს შრომის კოდექსით აკრძალულია არასრულწლო-ვანთან შრომითი ხელშეკრულების დადება სათამაშო ბიზნესთან, ღამის გასართობ დაწესებულებასთან, ეროტიკული და პორნოგრა-ფიული პროდუქციის, ფარმაცევტული და ტოქსიკური ნივთიერებე-ბის დამზადებასთან, გადაზიდვასა და რეალიზაციასთან დაკავში-რებული სამუშაოების, აგრეთვე მძიმე, მავნე ან საშიშპირობებიანი სამუშაოს შესასრულებლად.

რა არის სტაჟირება?

სტაჟირება არის განსაკუთრებული შრომითი ურთიერთობა, რომლის დროსაც შრომის ორგანიზაციული მოწესრიგების პი-რობებში, დასაქმებულის მიერ დამსაქმებლისათვის ხდება სა-მუშაოს შესრულება.

სტაჟიორი არის პირი, რომელიც დამსაქმებლისთვის ასრულებს გარკვეულ სამუშაოს ანაზღაურების სანაცვლოდ ან მის გარეშე, და სამუშაოს შესრულების მიზანია სტაჟიორის კვალიფიკაციის ამა-ღლება, პროფესიული ცოდნის, უნარის ან პრაქტიკული გამოცდი-ლების მიღება.

სტაჟიორსა და დამსაქმებელს შორის უნდა არსებობდეს წერილობითი ფორმით დადებული ხელშეკრულება, სადაც სტაჟიორის მიერ შესასრულებელი სამუშაო დეტალურად იქნება გაწერილი. ანაზღაურების გარეშე (უხელფასო) სტაჟირების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 6 თვეს, ხოლო ანაზღაურებადი (ხელფასიანი) სტაჟირების ვადა – 1 წელს.

პირს უფლება აქვს ერთსა და იმავე დამსაქმებელთან ანაზღაურების გარეშე სტაჟირება გაიაროს მხოლოდ ერთხელ. თუ დამსაქმებელს სურს სტაჟიორის გათავისუფლება, სტაჟირების შეწყვეტისას, დამსაქმებელი არაა ვალდებული, ის წინასწარ გააფრთხილოს, თუ სტაჟირების ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

სამუშაო დრო

მუშაობა არის დაგეგმილი, მოწესრიგებული საქმიანობა, რაც ასევე ითვალისწინებს სამუშაო დროსა და შესვენების ხანგრძლივობას. ზოგადად ნორმირებული სამუშაო დროის ხანგრძლივობა კვირაში 40 საათს არ უნდა აღემატებოდეს, მაგრამ არასრულწლოვანისთვის დადგენილია განსხვავებული დრო.

16 წლამდე არასრულწლოვანის სამუშაო დროის ხანგრძლივობა კვირაში 24 საათს და დღეში 4 საათს არ უნდა აღემატებოდეს, ხოლო 16 წლიდან 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვანის სამუშაო დროის ხანგრძლივობა დასაშვებია კვირაში არაუმეტეს 36 საათისა და დღეში არაუმეტეს 6 საათისა.

სამუშაო დროში არ ითვლება შესვენების დრო და დასვენების დრო, რაც გულისხმობს, რომ როდესაც ადამიანი სამსახურში

იმყოფება 7 საათი, ხოლო ამ 7 საათიდან 1 საათის განმავლობაში ისვენებს, ეს შესვენების დრო არ ანაზღაურდება. შესაბამისად, ადამიანს გამოსდის 6 საათიანი სამუშაო დრო.

ამისგან განსხვავებით, როდესაც დასაქმებული სამსახურში იმყოფება ოფიციალური დასვენების დღეებში (მაგალითად, 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღეს), იგი ჩაითვლება სამუშაო დროში და ანაზღაურდება ზეგანაკვეთურად, დასაქმებულის საათობრივი განაკვეთის გაზრდილი ოდენობით, რაც დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის არსებული შეთანხმებით/ხელშეკრულებით დგინდება.

არასრულწლოვანის მიერ შვებულებით სარგებლობის უფლება

სამუშაო პერიოდში, არასრულწლოვანს, როგორც ნებისმიერ დასაქმებულს, უფლება აქვს, ისარგებლოს ანაზღაურებადი (ხელფასიანი) შვებულებით. ანაზღაურებადი შვებულების მინიმალური ვადა წელიწადში 24 სამუშაო დღეს შეადგენს, ხოლო ანაზღაურების გარეშე ანუ უხელფასო შვებულების ხანგრძლივობა წელიწადში სულ მცირე 15 კალენდარული დღეა. შვებულების მოთხოვნის უფლება წარმოიშობა მუშაობის თერთმეტი თვის შემდეგ, თუმცა დამსაქმებელთან შეთანხმებით შვებულების მიცემა მანამდეც შესაძლებელია.

ანაზღაურების გარეშე შვებულების აღებისას დასაქმებული ვალდებულია 2 კვირით ადრე გააფრთხილოს დამსაქმებელი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გაფრთხილება შეუძლებელია გადაუდებელი სამედიცინო ან ოჯახური პირობების გამო.

დამატებითი (ზეგანაკვეთური) სამუშაოს შესრულება

განსხვავებით სრულწლოვანი დასაქმებულისგან, ვისაც შესაძლოა დაევალოს ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულება (მაგალითად, როდესაც სამუშაო დრო სრულდება 18:00 საათზე და დასაქმებული დამატებით მუშაობს 20:00 საათამდე), სათანადო ანაზღაურების სანაცვლოდ, არასრულწლოვანს არ აქვს დამატებითი სამუშაოს შესრულების ვალდებულება. ეს მის ნებაზეა დამოკიდებული და სურვილის შემთხვევაში დამატებითი სამუშაო შესაბამისად უნდა ანაზღაურდეს.

16 წლამდე არასრულწლოვანის მიერ ზეგანაკვეთური სამუშაოს შესასრულებლად საკმარისია მხოლოდ არასრულწლოვანის თანხმობა. შესაბამისად, მისი კანონიერი წარმომადგენლის დამატებითი თანხმობა საჭირო არ არის.

გამოსაცდელი ვადა

დამსაქმებელმა დასაქმებულთან შესაძლოა მხოლოდ ერთხელ დადოს შრომითი ხელშეკრულება გამოსაცდელი ვადით, რათა დაადგინოს, დასაქმებულს რამდენად შეუძლია მოცემულ პოზიციაზე სამუშაოს შესრულება.

გამოსაცდელი ვადით დადებული ხელშეკრულება აუცილებელია იყოს წერილობითი ფორმის, ანაზღაურებადი, ერთჯერადი და დაიდოს არაუმეტეს 6 თვის ვადით. გამოსაცდელი ვადის განმავლობაში ხელშეკრულების მხარეებს უფლება აქვთ ნებისმიერ დროს შეწყვიტონ შრომითი ხელშეკრულება.

შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა

შრომითი ხელშეკრულება, როგორც წესი, ითვალისწინებს შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის წესს და პირობებს. დამსაქმებელს არ აქვს უფლება, დასაქმებული სამსახურიდან ნებისმიერი მიზეზით გაათავისუფლოს (გარდა ზემოთ განხილული გამოსაცდელი ვადის შემთხვევისა). დასაქმებულის გათავისუფლება შესაძლებელია კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში. კანონის შესაბამისად, დამსაქმებელს შეუძლია შრომითი ურთიერთობა შეწყვიტოს 30 კალენდარული დღით ადრე და დასაქმებულს ერთი თვის კომპენსაცია მისცეს ან შეწყვიტოს შრომითი ურთიერთობა 3 დღით ადრე და ამ შემთხვევაში დამსაქმებელს 2 თვის კომპენსაცია გადაუხადოს. ეს არჩევანი სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველზეა დამოკიდებული.

არასრულწლოვანის შემთხვევაში, კანონიერ წარმომადგენელს (მშობელს) ან მზრუნველობის/მეურვეობის ორგანოს უფლება აქვს, მოითხოვოს არასრულწლოვანთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა, თუ მუშაობის გაგრძელება ზიანს მიაყენებს არასრულწლოვანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან არასრულწლოვანის სხვა მნიშვნელოვან ინტერესებს.

ბავშვის ურთიერთობა სამართალდამცავ ორგანოებთან

პოლიცია – ჩემი მეგობარი თუ დამსჯელი?

პოლიცია არის სახელმწიფო ორგანო, რომელიც იცავს საზოგადოების უსაფრთხოებას. ნებისმიერი გასაჭირისა თუ/ან პრობლემის შემთხვევაში შენ შეგიძლია მიმართო პოლიციას, რომელიც მყისიერად გამოცხადდება ადგილზე და გაგიწევს დახმარებას.

როგორ მოვიქცე, თუ პოლიციამ გამაჩერა?

უპირველესად უნდა ვიცოდეთ, რომ პოლიციელს აქვს უფლება გაჩეროს მოქალაქე და დაადგინოს მისი ვინაობა. თუ პოლიციელი, რომელსაც აცვია პოლიციელის ფორმა გაგაჩერებთ, შეეცადეთ, ყურადღებით მოუსმინოთ და დასმულ კითხვებზე გულწრფელად უპასუხოთ.

თუკი გაგაჩერებთ პიროვნება, რომელსაც არ აცვია პოლიციელის ფორმა და გეტყვით, რომ ის პოლიციელია, უპირველესად დაუკავშირდით მშობელს ან დარეკეთ 112-ში, რათა დარწმუნდეთ, რომ ნამდვილად პოლიციელი გესაუბრებათ, ასევე მას მოსთხოვეთ პოლიციის მოწმობის წარმოდგენა. მხოლოდ ამ ყველაფრის შემდგომ დაამყარეთ მასთან კომუნიკაცია.

რა არის ჩხრეკა?

ჩხრეკა არის საგამოძიებო მოქმედება, რომლის დროსაც პოლიციის თანამშრომლები გარკვეულ ადგილზე ატარებენ ძებნის სამუშაოებს და ცდილობენ მოძებნონ ნივთი ან ინფორმაციის შემცველი საგანი, რომელიც მათ დანაშაულის გახსნაში დაეხმარება.

რა უფლებები მაქვს ჩემი ჩხრეკის დროს?

გახსოვდეთ, რომ პოლიციას აქვს პირის ჩხრეკის უფლება, რისთვისაც მას აუცილებლად უნდა ჰქონდეს მოსამართლის ნებართვა ან გამომძიებლის დადგენილება. თუ პოლიციელი შეგაჩერებთ და გეტყვით, რომ უნდა განახორციელოს თქვენი პირადი ჩხრეკა, საამისოდ საჭიროა მას ჰქონდეს შესაბამისი დოკუმენტი, რომლის წარდგენის გარეშეც ჩხრეკის დაწყების უფლება არ აქვს.

რა არის დანაშაული?

დანაშაული არის ყველა ის ქმედება, რომელიც აკრძალულია სისხლის სამართლის კოდექსით. აკრძალული ქმედებების ჩამონათვალი არის სისხლის სამართლის კოდექსში, სადაც ამავდროულად გაწერილია სასჯელი თითოეული აკრძალული ქმედებისთვის.

რა მომელის, თუ დანაშაული ჩავიდინე?

თუ დანაშაული ჩაიდინე, დაგეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თუმცა თუ ხელს შეუწყობ გამოძიებას და ითანამშრომლებ საგამოძიებო ორგანოსთან, შესაძლებელია განხორციელდეს შენი დანაშაულისგან განრიდება, რაც ნიშნავს, რომ თავიდან აირიდებ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.

რა არის ადმინისტრაციული სამართალდარღვევა?

ადმინისტრაციული სამართალდარღვევა არის ყველა ის ქმედება, რომელიც აკრძალულია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით (მაგალითად, ასეთია ცივი იარაღის ტარება, არასრულწლოვანისთვის ცივი იარაღის მიყიდვა, საზოგადოებრივ ადგილებში ლანძღვა-გინება, მოქალაქეებზე შეურაცხმყოფელი გადაკიდება, შენობა-ნაგებობების დაზიანება, ბუნების დაბინძურება და სხვა).

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის დროს შესაძლებელია ადამიანს მიესაჯოს ადმინისტრაციული პატიმრობა (არაუმეტეს 15 დღისა), დაეკისროს ჯარიმა, გაფრთხილება, გამასწორებელი სამუშაო (ადამიანს ხელფასიდან დაექვითება 20%-მდე, თუკი იგი დასაქმებულია) და სხვა.

ადმინისტრაციული პატიმრობა არ შეიძლება შეეფარდოთ ორსულ ქალებს, დედებს, რომლებსაც ჰყავთ თორმეტ წლამდე ასაკის ბავშვები, თვრამეტი წლის ასაკს მიუღწეველ პირებს, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს.

ერთმანეთისგან განსხვავდება ადმინისტრაციული დაკავება და ადმინისტრაციული პატიმრობა, თუმცა ორივე შემთხვევაში პირს თავისუფლება აღეკვეთება. შესაბამისად, აუცილებელია ისინი განხორციელდეს მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და საფუძვლით.

დაკავების უფლება აქვს მხოლოდ იმ პირებს, რომელთაც დაკავების უფლება კანონით აქვთ მინიჭებული (მაგალითად, პოლიციელი, გამომძიებელი და სხვა). დაკავების დროს დამკავებელი მოხელე ვალდებულია დაკავებულ პირს განუმარტოს:

- რა ადმინისტრაციული სამართალდარღვევაა ჩადენილი და რატომ გახდა აუცილებელი პირის დაკავება;
- რომ მას აქვს ადვოკატის აყვანის უფლება;
- რომ მას აქვს უფლება, მისი დაკავების შესახებ ინფორმაცია აცნობოს მის ახლობელს, სამუშაო ან სასწავლო ადგილის ადმინისტრაციას.

არასრულწლოვანის დაკავების შემთხვევაში აუცილებლად, პირველივე შესაძლებლობისთანავე უნდა ეცნობოს მის მშობელს ან სხვა კანონიერ წარმომადგენელს (მეურვე, მზრუნველი, ბებია, ბაბუა და სხვა). დაკავების შემდეგ დამკავებელმა მოხელემ დაკავებული უნდა მიიყვანოს უახლოეს პოლიციის დაწესებულებაში, ხოლო დაკავებული პირი უნდა წარსდგეს სასამართლოს წინაშე დაკავებიდან არაუმეტეს 24 საათის განმავლობაში.

სასამართლოში წარდგენამდე დაკავებული შესაძლოა მოთავსდეს დროებითი მოთავსების იზოლატორში. თუკი ამ დროში პირი არ წარედგინა სასამართლოს, მაშინ იგი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს. დაკავების დროს დამკავებელ მოხელეს ასევე უფლება აქვს დაკავებული პირი გასინჯოს და აღმოჩენილი ნივთები ჩამოართვას.

დაკავებულ პირს უფლება აქვს დაკავებიდან ნებისმიერ დროს მოითხოვოს ადვოკატი, ხოლო ადვოკატთან საუბრამდე უარი თქვას პოლიციელთან ან გამომძიებელთან ნებისმიერი სახის დიალოგზე.

როგორ მოვიქცე, თუკი ვხედავ დანაშაულის ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტს?

თუკი დანაშაულს შეესწარი, აუცილებლად უნდა დარეკო 112-ზე და მიმართო პოლიციას. გულახდილად უნდა მოუყვე გამომძიებლებს ყველა დეტალი და დაეხმარო მას დანაშაულის გახსნაში.

შეიძლება თუ არა, ვიყო მოწმე?

იმ შემთხვევაში, თუ შეესწარი დანაშაულს ან ფლობ საქმისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას, შესაძლებელია შენ გახდე მოწმე. მოწმე ეხმარება სასამართლოს სწორი გადაწყვეტილების მიღებაში.

რას ნიშნავს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება?

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება არის პროცესი, რომელიც მოიცავს 18 წლამდე პირთა მხრიდან დანაშაულთა ჩადენის შემთხვევაში მათ საქმეთა წარმოებას პოლიციაში, პროკურატურასა და სასამართლოში.

ვინ არის ადვოკატი, პროკურორი ან გამომძიებელი?

ადვოკატი არის კერძო პირის ან სახელმწიფოს მიერ დაქირავებული სპეციალური უფლებამოსილების მქონე იურისტი, რომელიც იცავს ადამიანის უფლებებს საგამოძიებო ორგანოსა და სასამართლოში.

გამომძიებელი არის სახელმწიფო ორგანოს თანამშრომელი, რომელიც უფლებამოსილია დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში გამოიძიოს დანაშაული და დაადგინოს ფაქტობრივი გარემოებები.

პროკურორი არის პირი, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას დანაშაულის გამოძიების შემდგომ დამნაშავის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების თაობაზე. სამივე მათგანი ემსახურება ერთ მიზანს – დაიცვას ადამიანის უფლებები და მართლმსაჯულების ინტერესები.

ძალადობა და მისი ფორმები

რა არის ძალადობა?

ძალადობა არის ფიზიკური ძალის ან ძალაუფლების წინასწარგამიზნული გამოყენება, რომელიც შეიძლება მიმართული იყოს საკუთარი თავის, სხვა ადამიანის ან საზოგადოების წინააღმდეგ, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს პიროვნების შეურაცხყოფა ან სიკვდილი, სხეულის დაზიანება, ფსიქოლოგიური ტრავმა, ქონების დაზიანება ან სხვა სახის ზიანი.

რა სახის ძალადობა არსებობს?

ძალადობა შესაძლოა იყოს ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური და ეკონომიკური.

ფიზიკური ძალადობა არის ცემა, წამება, ჯანმრთელობის დაზიანება, თავისუფლების უკანონო აღკვეთა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ფიზიკურ ტკივილს ან ტანჯვას.

ფსიქოლოგიური ძალადობა არის შეურაცხყოფა, შანტაჟი, დამცირება, მუქარა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ადამიანის პატივისა და ღირსების შელახვას. ფსიქოლოგიური ძალადობა გულისხმობს ქცევებს, რომელთა მიზანია, აკონტროლოს, მართოს მსხვერპლის მოქმედებები და ემოციები მის დასამორჩილებლად.

სექსუალური ძალადობა არის სქესობრივი კავშირი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან მსხვერპლის უმწეობის გამოყენებით.

ეკონომიკური ძალადობა არის ქმედება, რომელიც იწვევს საკვებით, საცხოვრებელი და ნორმალური განვითარების სხვა პირობებით უზრუნველყოფის, საკუთრებისა და შრომის უფლებების

განხორციელების და აგრეთვე თანასაკუთრებაში არსებული ქონებით სარგებლობის უფლების შეზღუდვას.

ადევნება არის პირადად ან სხვა პირის მეშვეობით ადამიანის, მისი ოჯახის წევრის ან ახლო ნათესავის უკანონო თვალთვალი ან არასასურველი კომუნიკაციის დამყარება (ტელეფონით, ელ. ფოსტით ან სხვა საშუალებით), ან ნებისმიერი სხვაგვარი ქმედება, რომელიც სისტემატურად ხორციელდება და იწვევს ადამიანის ფსიქიკურ ტანჯვას და აიძულებს შეცვალოს ცხოვრების წესი.

სექსუალური შევიწროება არის საზოგადოებრივ ადგილებში პირის მიმართ არასასურველი სექსუალური ხასიათის ქცევა, რომელიც მიზნად ისახავს ან/და იწვევს მისი ღირსების შელახვას და ქმნის მისთვის დამაშინებელ, მტრულ, დამამცირებელ, ღირსების შემლახველ ან შეურაცხმყოფელ გარემოს. სექსუალური შევიწროება ადმინისტრაციული სამართალდარღვევაა და იწვევს პასუხისმგებლობას, რაც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსითაა განსაზღვრული.

სექსუალური შევიწროება სამუშაო ადგილზე არის პირის მიმართ სამუშაო ადგილზე სექსუალური ხასიათის ფრაზების მიმართვა, გენიტალიების ჩვენება ან/და ნებისმიერი სხვა სექსუალური ხასიათის არასიტყვიერი ფიზიკური ქცევა, რომელიც იწვევს ადამიანის ღირსების შელახვას და მისთვის დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახველი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას.

როგორ მოვიქცე თუ ძალადობის მსხვერპლი გავხდი?

თუ გახდი ძალადობის მსხვერპლი, აუცილებლად დარეკე ტელეფონის ნომერზე 112 და განაცხადე ძალადობის ფაქტის შესახებ.

იმ შემთხვევაში, თუ არ გინდა, რომ ტელეფონზე საუბრით მოძალადემ გაიგოს შეტყობინების ფაქტი, შეგიძლია 112-ს მიწერო მოკლე ტექსტური შეტყობინება და ამ გზით მოითხოვო პოლიციის გამოძახება მისამართზე.

ოჯახში ძალადობა

საქართველოს კანონმდებლობა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ოჯახში ძალადობის საკითხებს. ოჯახში ძალადობა არის ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევა უგულებელყოფით ან/და ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ძალადობით ან იძულებით.

ოჯახში ძალადობის შემთხვევაში მიმართეთ 112-ს

ოჯახში ძალადობის შემთხვევაში არსებობს შემდეგი მექანიზმები:

დამცავი ორდერი – გამოიცემა სასამართლოს მიერ. მისი მოთხოვნის უფლება აქვს მსხვერპლს, მისი ოჯახის წევრს ან/და მსხვერპლის თხოვნით პირს, რომელიც მსხვერპლს უწევს სამედიცინო, იურიდიული ან ფსიქოლოგიურ დახმარებას.

არასრულწლოვანი მსხვერპლის შემთხვევაში, დამცავი ორდერის მოთხოვნის უფლება ასევე აქვს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს. განცხადება დამცავი ორდერის გამოცემის თაობაზე შედის სასამართლოში. დამცავი ორდერი შეიძლება გამოიცეს 6 თვემდე ვადით. დამცავი ორდერი შესაძლოა ითვალისწინებდეს:

- მსხვერპლის, მასზე დამოკიდებული პირის მოძალადისგან დაცვის ზომებს;
- მსხვერპლის, მასზე დამოკიდებული პირის მოძალადისგან გარიდებისა და თავშესაფარში მათი მოთავსების საკითხებს;
- მოძალადის ვალდებულებას – არ შეზღუდოს მსხვერპლი, ისარგებლოს პირადი ნივთებით, ავტომანქანით ან სხვა იმ ქონებით, რომელიც აუცილებელია პიროვნების ნორმალური არსებობისათვის;
- მოძალადის მსხვერპლთან მიახლოების საკითხს;
- მოძალადის არასრულწლოვანისგან განცალკევების საკითხებს;
- და სხვა საკითხებს, რომლებიც უზრუნველყოფს მსხვერპლის უსაფრთხოებას.

შემაკავებელი ორდერი – გამოიცემა უფლებამოსილი პოლიციის თანამშრომლის მიერ და გამოცემიდან 24 საათის განმავლობაში წარედგინება სასამართლოს დასამტკიცებლად;

შემაკავებელი ან დამცავი ორდერით გათვალისწინებული საკითხების შეუსრულებლობა/დარღვევა იწვევს მოძალადის ადმინისტრაციულ (ადმინისტრაციული პატიმრობა/გამასწორებელი სამუშაო) პასუხისმგებლობას. მოძალადე, რომელიც დაარღვევს დამცავი/შემაკავებელი ორდერის პირობებს, შესაძლოა დაეკისროს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობა (მაგალითად, თავისუფლების აღკვეთას).

USAID
ამერიკელი ხალხისგან

EAST • WEST
MANAGEMENT
INSTITUTE

USAID სამართლის უზენაესობის პროგრამა
USAID RULE OF LAW PROGRAM

სულხან-საბა ორბელიანის
უნივერსიტეტი

ბროშურა მომზადდა სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის მიერ, USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის დაფინანსებით. პროგრამას ახორციელებს აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტი (EWMI) ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით. ბროშურის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი და მასში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ ასახავდეს ზემოთ ნახსენები საერთაშორისო ორგანიზაციების შეხედულებებს.